ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/01767-18
10 - 10 2018 წ

დადგენილება №000010
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.10.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2018 წლის 10 ოქტომბრის №000010 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **ი.ბ.ა. „გლდანი 999"-ს** (მის: ქ. თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ. (ნაკვეთი 18/73)) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, გლდანში, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ, (ს/კ №01.11.12.018.073), ი.ბ.ა. „გლდანი 999"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2564216 25.04.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: **შენობა "ა-ო" და "1-12" ღერძებში** ცოკოლი ხელოვნური ქვით მოპირკეთების ნაცვლად შელესილ-შეღებილია. +49.50 ნიშნულზე აივნებზე გაუქმებულია საჩრდილობლები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, წყალშემკრები მილები, კონდიციონერები, გამათბობლის კარადები და გამწოვი მილები. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერები. აივნებზე ნაწილობრივ კარების ძირები შესავსებია. ნაწილობრივ ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. +3.30 ნიშნულიდან კიბის უჯრედში გაუქმებულია სადარბაზოს კარები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებისა და შენობის ფასადის კედლების მდებარეობა,რის ხარჯზეც შემცირებულია შენობის ფართი. "7-6" და "ზ-თ" მონაკვეთების კვეთაზე გაზრდილია კოლონების გაბარიტები. დამატებით მოწყობილია რიგელები. შეცვლილია მონოლითური კედლებისა და კოლონების, ასევე ფასადის კედლებისა და კოლონების ურთიერთმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტები. +33.00 ნიშნულიდან აივნზე კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები,საზაფხულო ფართების ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი ფართები. **გეგმა -3.30 ნიშნულზე:** დამატებით მოწყობილია ლიფტის შახტის კედლები, რის ხარჯზეც გაუქმებულია ავტომობილის სადგომი "7-8" და "10-9"

ქ. თბილისი 0160, უ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მონაკვეთების კვეთაზე კაპიტალური ტამბურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კარი და გისოსი, დამატებით მოწყობილია აგრეგატი. "ა-ა" ღერძის გარეთ ნაწილობრივ გაუქმებულია პანდუსის კედლები. "ე-ე" ღერძთან "5-4" მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის გაბარიტები, დამატებით მოწყობილია წყალმიმღები ცხაური. ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია ღიობები და გისოსები, რომლებსაც ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. **გეგმა +0.00 ნიშნულზე:** "თ-ზ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სადარბაზოში შესასვლელი კარი. "თ-თ" ღერძზე "1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. "9-9" ღერძის გარეთ "ლ-ნ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია აივანი. "1-1" ღერძის გარეთ შემცირებულია ავტოფარეხის პარაპეტის სიმაღლე, შეცვლილია კარების გაბარიტები, ფასადის კედლებზე გაუქმებულია ხელოვნური ქვით მოპირკეთება, დამატებით მოწყობილია წყლის შემკრები მილები. **+49.50 ნიშნულზე:** აივნებზე ნაწილობრივ გაზრდილია კარების გაბარიტები. **სახურავის გეგმაზე:** შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა, მდებარეობა და გაბარიტები. დამატებით მოწყობილია სამანქანოში ასასვლელი საფეხურები. სამანქანოს ფასადის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობი გისოსით. კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები, გაზრდილია ფართი. ტერიტორიაზე კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია მავთულბადისა და მსუბუქი კონსტრუქციის ღობე. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. **შენობა „უ-პ" და „13-29" ღერძებში** ფასადებზე შეცვლილია დეკორატიული მოპირკეთების ფორმა და კედლების ნაწილი დაფერილია განსხვავებულ ფერში. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და კარებების ნახატი, გაბარიტი და მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების ფორმა. ლითონის კონსტრუქციების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებულია წყალშემკრები მილები. **„13-22" ფასადი:** აივნებთან კედლების ნაცვლად მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და მსუბუქი მასალით შევსებული გამყოფი ტიხრები. შენობის ძირში შეცვლილია კარის მდებარეობა. „19-20" მონაკვეთში დამატებულია დაბალი კედლები, მოწყობილია ფილა. „20-21" მონაკვეთში ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი და დამატებულია საფეხურები. „21-23" მონაკვეთში დამატებულია კაპიტალური კედლები, კარი და ფანჯარა, რის გამოც შემცირებულია ავტოსადგომის ფართი. „29" ღერძთან შეცვლილია შენობის ფორმა და კედლის კონფიგურაცია. +2.10 ნიშნულზე „22-29" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის ფორმა და გაბარიტი, ასევე შეცვლილია კაპიტალური კედლების სიმაღლე. „13" ღერძის მიმდებარედ აივნებზე გაუქმებულია გადახურვები. +15.90 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გადახურვის ძირის ფორმა. **„ო-13" ფასადი:** დამატებულია კონდიციონერი და გამწოვი მილები. შენობის ძირში „29" ღერძის მიმდებარედ კედლის ფრაგმენტი დასასრულებელია. **„უ-პ" ფასადი:** შენობის ძირში შემცირებულია ფანჯრების რაოდენობა. +17.40 ნიშნულზე დამატებულია სარეკლამო წარწერა. **„პ-უ" ფასადი:** „უ" ღერძთან +5.70 და +12.60 ნიშნულზე აივნებზე შეცვლილია კედლების მოწყობა და ფორმა. შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტი. დამატებულია მონოლითური კედლები და საფეხურები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია, საფეხურების რაოდენობა და არ არის მოწყობილი მოაჯირები. „13-13¹" კიბესთან დამატებულია ანტრესოლი. „20-21" მონაკვეთში კიბე მობრუნებულია. +5.70 ნიშნულზე კოლონებთან რიგელების ძირში დამატებულია ლითონის საყრდენი სვეტები და მონოლითური კედლები. „13" ღერძთან შეცვლილია კიბის მდებარეობა. „20" ღერძთან შეცვლილია კიბის ღიობის ფორმა. სახურავზე „13-14" მონაკვეთში „ს" ღერძთან შეცვლილია კედლის მდებარეობა. იმავე კედელში კარის ღიობში მოსაწყობია კარი. „11" ღერძზე შეცვლილია ღიობის ფორმა და დამატებულია ორი კარი. „19" ღერძზე დამატებულია კარი. „უ-პ"

ფასადის მხარეს შენობის ძირში დამაგრებული საყრდენი კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. პროექტის ხარვეზია ზოგიერთ მონაკვეთში ურთიერთშეუსაბამოა გეგმები, ფასადები, ჭრილები და რენდერები.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ №2564216 25.04.2016წ. ბრძანებით მშენებლობის ვადად განისაზღვრა 25.04.2016 წ-დან 25.04.2018 წ-ის ჩათვლით. დამკვეთმა ზემოაღნიშნული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს მომართა 2018 წლის 29 ივნისს №19/01181802990-17 განცხადებით, ხოლო ექსპლუატაციაში მიღებაზე უარი ეთქვა 2018 წლის 23 ივლისს №ბ-19/01181802990-17 ბრძანებით.

2018 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000010 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01182362389-17 24.08.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ი.ბ.ა. „გლდანი 999"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, გლდანში, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ, (ს/კ №01.11.12.018.073), განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2564216 25.04.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. „გლდანი 999" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი) მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. „გლდანი 999"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი:** **TRESGE22**, **საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263**, გადამხდის

დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. „გლდანი 999"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ვლადიმერ ყუშიტაშვილი**

№000010 შეშოწმების აქტის დანართი (დანართი ორი ფურცელი)

შენობა "ა-ო" და "1-12" ღერძებში

ცოკოლი ხელოვნური ქვით მოპირკეთების ნაცვლად შელესილ-შეღებილია. +49.50 ნიშნულზე აივნებზე გაუქმებულია საჩრდილობლები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, წყალშემკრები მილები, კონდიციონერები, გამათბობლის კარადები და გამწოვი მილები. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერები. აივნებზე ნაწილობრივ კარების ძირები შესავსებია. ნაწილობრივ ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. +3.30 ნიშნულიდან კიბის უჯრედში გაუქმებულია სადარბაზოს კარები.

ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებისა და შენობის ფასადის კედლების მდებარეობა,რის ხარჯზეც შემცირებულია შენობის ფართი. "7-6" და "ზ-თ" მონაკვეთების კვეთაზე გაზრდილია კოლონების გაბარიტები. დამატებით მოწყობილია რიგელები. შეცვლილია მონოლითური კედლებისა და კოლონების, ასევე ფასადის კედლებისა და კოლონების ურთიერთმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტები. +33.00 ნიშნულიდან აივნებზე კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები,საზაფხულო ფართების ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი ფართები.

გეგმა -3.30 ნიშნულზე: დამატებით მოწყობილია ლიფტის შახტის კედლები, რის ხარჯზეც გაუქმებულია ავტომობილის სადგომი. "7-8" და "10-9" მონკვეთების კვეთაზე კაპიტალური ტამბურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კარი და გისოსი, დამატებით მოწყობილია აგრეგატი. "ა-ა" ღერძის გარეთ ნაწილობრივ გაუქმებულია პანდუსის კედლები. "ე-ე" ღერძთან "5-4" მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის გაბარიტები, დამატებით მოწყობილია წყალმიმღები ცხაური. ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია ღიობები და გისოსები, რომლებსაც ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი.

გეგმა +0.00 ნიშნულზე: "თ-ზ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სადარბაზოში შესასვლელი კარი. "თ-თ" ღერძზე "1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. "9-9" ღერძის გარეთ "ლ-ნ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია აივანი. "1-1" ღერძის გარეთ შემცირებულია ავტოფარეხის პარაპეტის სიმაღლე, შეცვლილია კარების გაბარიტები, ფასადის კედლებზე გაუქმებულია ხელოვნური ქვით მოპირკეთება, დამატებით მოწყობილია წყლის შემკრები მილები.

+49.50 ნიშნულზე: აივნებზე ნაწილობრივ გაზრდილია კარების გაბარიტები.

სახურავის გეგმაზე: შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა, მდებარეობა და გაბარიტები. დამატებით მოწყობილია სამანქანოში ასასვლელი საფეხურები. სამანქანოს ფასადის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობი გისოსით. კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები, გაზრდილია ფართი.

ტერიტორიაზე კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია მავთულბადისა და მსუბუქი კონსტრუქციის ღობე. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

შენობა „უ-პ" და „13-29" ღერძებში

ფასადებზე შეცვლილია დეკორატიული მოპირკეთების ფორმა და კედლების ნაწილი დაფერილია განსხვავებულ ფერში. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და კარებების ნახატი, გაბარიტი და მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების ფორმა. ლითონის კონსტრუქციების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებულია წყალშემკრები მილები.

„13-22" ფასადი: აივნებთან კედლების ნაცვლად მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და მსუბუქი მასალით შევსებული გამყოფი ტიხრები. შენობის ძირში შეცვლილია კარის მდებარეობა. „19-20" მონაკვეთში დამატებულია დაბალი კედლები, მოწყობილია ფილა. „20-21" მონაკვეთში

ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი და დამატებულია საფეხურები. „21-23" მონაკვეთში დამატებულია კაპიტალური კედლები, კარი და ფანჯარა, რის გამოც შემცირებულია ავტოსადგომის ფართი. „29" ღერძთან შეცვლილია შენობის ფორმა და კედლის კონფიგურაცია. +2.10 ნიშნულზე „22-29" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის ფორმა და გაბარიტი, ასევე შეცვლილია კაპიტალური კედლების სიმაღლე. „13" ღერძის მიმდებარედ აივნებზე გაუქმებულია გადახურვები. +15.90 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გადახურვის ძირის ფორმა.

„ო-13" ფასადი: დამატებულია კონდიციონერი და გამწოვი მილები. შენობის ძირში „29" ღერძის მიმდებარედ კედლის ფრაგმენტი დასასრულებელია.

„უ-პ" ფასადი: შენობის ძირში შემცირებულია ფანჯრების რაოდენობა. +17.40 ნიშნულზე დამატებულია სარეკლამო წარწერა.

„პ-უ" ფასადი: „უ" ღერძთან +5.70 და +12.60 ნიშნულზე აივნებზე შეცვლილია კედლების მოწყობა და ფორმა.

შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტი. დამატებულია მონოლითური კედლები და საფეხურები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია, საფეხურების რაოდენობა და არ არის მოწყობილი მოაჯირები. „13-13'" კიბესთან დამატებულია ანტრესოლი. „20-21" მონაკვეთში კიბე მობრუნებულია. +5.70 ნიშნულზე კოლონებთან რიგელების ძირში დამატებულია ლითონის საყრდენი სვეტები და მონოლითური კედლები. „13" ღერძთან შეცვლილია კიბის მდებარეობა. „20" ღერძთან შეცვლილია კიბის ღიობის ფორმა. სახურავზე „13-14" მონაკვეთში „ს" ღერძთან შეცვლილია კედლის მდებარეობა. ამავე კედელში კარის ღიობში მოსაწყობია კარი. „11" ღერზე შეცვლილია ღიობის ფორმა და დამატებულია ორი კარი. „19" ღერძზე დამატებულია კარი.

„უ-პ" ფასადის მხარეს შენობის ძირში დამატებული საყრდენი კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

პროექტის ხარვეზი: ზოგიერთ მონაკვეთში ურთიერთშეუსაბამოა გეგმები, ფასადები, ჭრილები და რენდერები.

მთავარი სპეციალისტი 3/21 /გ. ეთერია/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000010

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 10.10.18წ

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საექსპერტო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ზ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას;

თ) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას;

ი) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: [illegible]

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible]

შემოწმებით დადგინდა: [illegible]

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების ჭეშმარიტი (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი